

CV



ნუნუ ოვსიანიკოვა

დაბადების თარიღი - 21.11.1954

დაბადების ადგილი - თბილისი

მისამართი – თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა 16, მე-4 კორპუსი, ბინა 15

ტელეფონი: 2 23 39 16; 577 578 678

ელ. ფოსტა: nunu.ovsyannikova@tsu.ge

პროფესიული საქმიანობა

- 2009- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
2006 -2009 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.
2006- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსი.
- 2005-2005 სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურის ლაბორატორიის უფროსი.
- 2003-2006 თსუ ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის დოცენტი.
- 1998-2003 თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე.
- 1996-1998 სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსის მოადგილე.
- 1981-1996 თსუ ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის დოცენტი, უფროსი მასწავლებელი, ლაბორანტი, ასპირანტი, თსუ ახალგაზრდული ორგანიზაციის კომიტეტის მდივნის მოადგილე, პარტიული სხვადასხვა თანამდებობა.
- 1971-1972 №8 აფთიაქის სანიტარი.

განათლება

თსუ ქიმიის ფაკულტეტი, ქიმიკოსი.

თსუ ასპირანტურა, ორგანული ქიმიის კათედრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, სამართალმცოდნე.

სამეცნიერო ხარისხი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.
დოცენტის სამეცნიერო წოდება.

1985 წელს ამირჩიეს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად
2003 წელს მომენიჭა ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი

გამოქვეყნებული მაქვს 75 ნაშრომი, მათ შორის 4 წიგნი

1. გურგენიძე ვ., ავტორთა კოლექტივი - ოვსიანიკოვა ნ. – პერსონალის მართვა – მეთოდურ - პრაქტიკული სახელმძღვანელო. – თბილისი, 2003, გვ.369-389.
2. ოვსიანიკოვა ნ., ურიდია ს., ვაშაკიძე კ., მიქიაშვილი ნ. – მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. – თბილისი, 2004, გვ.483.
3. ვ.გურგენიძე ვ., ავტორთა კოლექტივი-ნ.ოვსიანიკოვა - როგორ ვმართოთ თანამშრომლები- მეთოდურ - პრაქტიკული სახელმძღვანელო - ასოციაცია “სი-აი-ემ-ეს კონსალტინგი”, თბილისი , 2008, გვ.668.
4. ხარშილაძე ირმა, ოვსიანიკოვა ნუნუ (მთარგმნელები) - საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი (ა. კოზირინის რედაქციით)- თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2014, გვ.683.

კონცეფცია და სამოქმედო გეგმა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრების ღირსეული მემკვიდრე, ერის სულიერი განვითარების სიმბოლოდ აღიქმება.

როგორც პირველმა ეროვნულმა სამეცნიერო-კვლევითმა და საგანმანათლებლო კერამ, უნივერსიტეტმა ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებისა და ქვეყნის სამეცნიერო და საგანმანათლებლო პოტენციალის განვითარების უმნიშვნელოვანესი მისია იტვირთა.

თანამედროვეობის გამოწვევების შესაბამისად, უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვაში ასახულია და უნივერსიტეტის კრედოს წარმოადგენს - განათლებისა და მეცნიერების ფუნდამენტურობა, ტრადიციულობა, კვლევის, სწავლებისა და აღზრდის პროცესების სინთეზი, მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე დონის კლასიკური, ამავე დროს, უნივერსალური, ტრანსფორმირებადი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რეგიონულ და მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია, ინოვაციებზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული განათლებისა და კვლევის პროცესების უზრუნველყოფა, სტუდენტების ინტელექტუალური, სოციალური ფორმირების ხელშეწყობა და მათი ინიციატივების მხარდაჭერა.

საუნივერსიტეტო სივრცე საერთო მიზნით დაკავშირებულ პროფესორთა და სტუდენტთა ერთობლიობად გვევლინება და უნივერსიტეტის ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლებისა და კორპორატიული ეთიკის დაცვის პრინციპებს ემყარება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოგვიდგება, როგორც თანამედროვე მსოფლიოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცის წევრი განვითარებული სასწავლო და სოციალური ინფრასტრუქტურით, მატერიალური ბაზითა და საფინანსო სისტემით, რომელიც მის სტრატეგიულ განვითარებას უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შესაბამისად, დასახული ამოცანების რეალზაციის საქმეში წამყვანი როლი ღიაობას, გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულებას დაფუძნებულ ადმინისტრაციულ მენეჯმენტს ენიჭება. მართვითი

გადაწყვეტილების მიღების უმთავრეს კონცეპტუალურ საფუძველს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია წარმოადგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული მართვის სეგმენტი მატერიალური, ფინანსური, ადამიანური რესურსების ხარისხიანად და ეფექტურად მართვას მოიცავს, აღნიშნულის რეალიზაციისათვის თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს სტრატეგიის შესაბამის ამოცანათა იდენტიფიცირება, მართვის ახალი სისტემების დანერგვა, მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნიკური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფა, ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა.

ადმინისტრაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტული ამოცანების იდენტიფიცირება და მათ რეალიზებაში თითოეული სტრუქტურული ერთეულის, რგოლის, პიროვნების შესაძლებლობების დადგენა, განხორციელდეს შესრულების პროცესის მონიტორინგი და კონტროლი. თითოეული ამოცანის გადაწყვეტისათვის შემუშავებული პროექტი უნდა მოიცავდეს შესრულების ვადებს, ინფორმაციას ფინანსური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ და შეფასების ინდიკატორებს, რაც მოგვცემს მიღწეულის შეფასებისა და გაკონტროლების საშუალებას. ამასთან, ინდიკატორები ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტის, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საჭიროებების გათვალისწინებაზე, უნივერსიტეტის ორგანიზაციულ და ფინანსურ განვითარებაზე და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობის გაზრდაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩამოყალიბდეს შეფასების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად შეუძლია თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება და რამდენად ანგარიშვალდებულია თავისი საქმიანობის შედეგზე, როგორია პასუხისმგებლობის ხარისხი, რამდენად დეცენტრალიზებულია სტრუქტურაში ძალაუფლება და რამდენად მოქნილია იგი, როგორ არის გამოიყენებული კომპეტენციები და რეალიზებული გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპი.

ადმინისტრაციული მართვის სისტემების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ადმინისტრაციულ მართვაში სტრატეგიული მიზნებისა და ოპერატიულ ამოცანებს შორის მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფა, მიზნებით მართვის სისტემის დანერგვა და შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტის განხორციელება. ამასთან, ადმინისტრირება უნდა ხასიათდებოდეს კონკრეტულობით, პროცედურების სიმარტივით, მატერიალური და ადამიანური რესურსების ეკონომიური გამოყენებით. აუცილებელია სტრატეგიული კურსის შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების ერთიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, მისი ეფექტიანობის ამაღლება და კონკურენტუნარიანობის დამკვიდრება. მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ისეთი ეფექტური ორგანიზაციული

სტრუქტურა, რომელიც იძლევა საშუალებას შეიქმნას გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის, სამუშაოთა კოორდინირების, განხორციელებისა და კონტროლის მოქნილი სისტემა.

ადმინისტრაციის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებისათვის საჭიროა ქმედითი ღონისძიებები. აღნიშნულის რეალიზაციისათვის უნდა ჩატარდეს ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი, განისაზღვროს რამდენად რაციონალური და ეფექტურია ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის საფეხურები, გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მართვის სტილი. ამასთან, უნდა შეიქმნას შეფასების კრიტერიუმები და დადგინდეს რამდენად რეალიზებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზანი და მიღწეულია კონკრეტული შედეგი.

მართვის სისტემების სრულყოფისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური რესურსების განვითარებასა და პერსონალის მართვის სრულყოფას. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის და ადამიანური რესურსების პოტენციალის უნივერსიტეტის მიზნებსა და სტრატეგიასთან შესაბამისობა და თანამედროვე კონცეპტუალურ – მეთოდურ პრინციპებზე პერსონალის მართვის ერთიანი სისტემის შექმნა.

პერსონალის მართვის სრულყოფა-განვითარებისათვის პერიოდულად უნდა ჩატარდეს პერსონალის საქმიანობის აუდიტი, გაანალიზდეს მიღებული შედეგები, შეფასდეს თუ რამდენად შეესაბამება პერსონალის პოტენციალი დასახულ მიზნებს, სტრატეგიას და მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები. შემუშავდეს სამუშაოს აღწერილობები და ამ სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პროფესიულ-კვალიფიკაციური მოთხოვნები, შეიქმნას პერსონალის საქმიანობის დაგეგმვის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შესრულების შეფასების მოქნილი სისტემა, დაინერგოს ატესტაციის სისტემა. გატარდეს ღონისძიებები პერსონალის სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მისი პოტენციალის აქტივიზირებისათვის, მოტივაციის გაზრდის, შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების, სოციალური დაცვისა და თანამედროვე ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისათვის.

ფინანსური ავტონომიურობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ზოგადად საუნივერსიტეტო სივრცის ავტონომიურობას და მის გარანტად გვევლინება. უნივერსიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების განხორციელება საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკისა და საბიუჯეტო პროცესის მართვის სრულყოფის საქმეში ძირითადად დამოკიდებული უნდა იყოს უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებზე გათვლილ ბიუჯეტსა და ფინანსურ რესურსებზე.

უნივერსიტეტის 2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით დაგეგმილია 90105574 ლარის ფარგლებში, მათ შორის ეკონომიკური შემოსავლებია 48303500 ლარი. რაც შეეხება ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელებს, იგი გაწერილია 89892954 ლარის ოდენობით, მათ შორის ეკონომიკური შემოსავლებით გასაწევი გადასახდელებია 58569527 ლარი (სხვაობა გადასახდელებსა და შემოსავლებს შორის იფარება გარდამავალი ნაშთით). ეკონომიკური შემოსავლებიდან გასაწევი გადასახდელების მთლიან მოცულობაში (58569527 ლარი) შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილი (შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება) შეადგენს 78,6%-ს (46039852 ლარი), მივლინება 1,2%-ს (701170 ლარი), ოფისის ხარჯები 8,0%-ს (4713750 ლარი), წარმომადგენლობითი ხარჯები 0,9%-ს (546400 ლარი), კაპიტალური ხარჯები 1,8%-ს (1031000 ლარი) და სხვა.

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, სხვადასხვა სახის სტუდენტური და სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინვენტარის, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის და სხვა, უნივერსიტეტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სარეაბილიტაციოდ მწირი ფინანსური რესურსები რჩება.

ამდენად, ყოველი საბიუჯეტო წლის დასაწყისში უნდა განისაზღვროს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პრიორიტეტები და მიზნობრიობა. უნივერსიტეტის პრიორიტეტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების განზოგადება და მუდმივი მონიტორინგის განხორციელება.

უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტის ცენტრალურ ადმინისტრაციასა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობის შემდგომი დეცენტრალიზაცია-დელეგირება, მათ შორის, საბიუჯეტო სისტემის მეშვეობითაც. საუნივერსიტეტო მართვის იერარქიულ სისტემაში თითოეული სტრუქტურული ერთეული მაქსიმალურად უნდა იქნეს კონცენტრირებული მისთვის მინიჭებული ფუნქციის განხორციელებაზე.

უნდა ამაღლდეს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულების როლი ბიუჯეტის ფორმირებისა და აღსრულების პროცესში მათი ჩართულობის, ინიციატივების, პასუხისმგებლობისა და კონტროლის გაძლიერებით.

ბიუჯეტის მონიტორინგისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ხარჯების გამჭვირვალობასა და ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების დროულობას, ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციას, საბიუჯეტო პროცესში ცენტრალური ადმინისტრაციისა და დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულების ვალდებულებების გამიჯვნასა და ბიუჯეტის შესრულებას.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ ადმინისტრაციული ხარჯების მონიტორინგი გაძლიერდეს როგორც კანონიერების, ისე ეფექტიანობის მიმართულებით. შესწავლილ იქნეს სამართლებრივ ნორმებთან შრომის ანაზღაურების, პრემიების, დანამატებისა და სხვა გასაცემლების გაცემის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონთან საქონლისა და მომსახურების შესყიდვების და, საერთოდ, უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობა სხადასხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ გაწეული ხარჯების პროცენტულ შესრულებას, არამედ აუცილებელია, შეფასდეს ხარჯების ეფექტიანობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მაქსიმალურად სრულყოფილად დაიგეგმოს მომავალი წლის ბიუჯეტი და მინიმუმამდე შემცირდეს არამიზნობრივი, უყაირათო ხარჯების ოდენობა.

ამ პროცესში განსაკუთრებული აქცენტი უნდა კეთდებოდეს საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის მონიტორინგზე, ანუ რამდენად დროულად და სრულყოფილად ხდება საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება და უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო საზოგადოების და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ამ პროცესში ჩართულობის მაღალი დონე.

საყურადღებოა, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფინანსური რესურსების ზრდისა, იგი ვერ უზრუნველყოფს არსებული მზარდი მოთხოვნებისა და მოლოდინების დაკმაყოფილებას. დღის წესრიგში დგება დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვისა და შიდა საუნივერსიტეტო რესურსების მოძიებისა და ამოქმედების საკითხი.

აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რეალიზებულ იქნეს ისეთი აქტივობები, რომლებიც უკავშირდება უნივერსიტეტის გამომცემლობის, ენების ცენტრის, მეცნიერული და ა.შ. საქმიანობის კომერციალიზაციას.

ასევე მნიშვნელოვანია, გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დიდი შესაძლებლობები. თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება და, შესაბამისად, საუნივერსიტეტო პოტენციალის გამოყენებით უწყვეტ განათლებაზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი პროგრამების შემოთავაზების და ელექტრონული და დისტანციური სწავლების ფორმების დანერგვით, საქმიანობის გეოგრაფიის გაფართოების გზით და განვითარებაზე ორიენტირებული მენეჯმენტის შემთხვევაში, ცენტრის საქმიანობის მოცულობის გაზრდა უნივერსიტეტში შემოსავლების შემდგომ მოზიდვას უზრუნველყოფს და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ფინანსური ეფექტი ექნება. ამ მხრივ შესაძლებლად მიგვაჩნია რუსთავის, ქუთაისისა და სხვა არსებული რესურსის გამოყენება, რეგიონებში აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზება, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უნივერსიტეტის ცნობადობასა და იმიჯის ამაღლებაში.

აუცილებელია, გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები გარე დაფინანსების ახალი წყაროების: გრანტების, სახელმწიფო პროექტების დაფინანსების, ალუმნის, შემოწირულობების მოსაპოვებლად და შემდგომ ამ სახსრების ეფექტიანად გამოსაყენებლად.

მიიღო რა გამოწვევა, უნივერსიტეტი გახდეს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფილი წევრი და იტვირთა როლი, იყოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ღირსეული წარმომადგენელი, უზრუნველყოს აკადემიური კულტურის ტრადიციებისა და ახალი იდეების უწყვეტობა და განვითარება, ღირსეულად ხვდება სწავლების, მეცნიერებისა და კვლევების წინაშე არსებულ თანამედროვე გამოწვევებს.

ამდენად, დღის წესრიგში დგება უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი დაფინანსების უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც არ უნდა განვიხილოთ როგორც უნივერსიტეტის ავტონომიის, კულტურის, მეცნიერების, კვლევისა და სწავლების თავისუფლების, უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური ან ფინანსური საკითხების მართვის შეზღუდვის ბერკეტი. ხელშეუხებელი და უზრუნველყოფილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ავტონომიურობა, აკადემიური თავისუფლება, კადემიური პერსონალის საქმიანობის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან დამოუკიდებლობა, სწავლებისა და კვლევის ერთიანობა.

მატერიალური რესურსების მართვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროცესების მართვას. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია: ჩატარდეს უძრავი ქონების ობიექტების ინვენტარიზაცია და განისაზღვროს მათი ფუნქციური დატვირთვისა და გამოყენების ეფექტიანობის პერსპექტივები. შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ჩართულობით დარეგულირდეს უნივერსიტეტისათვის ქონების გადმოცემისა და ბალანსზე აყვანის პროცედურები. დაჩქარდეს ამორტიზებული და გამოყენებული ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომი განკარგვის საკითხი. მოკლე ვადებში გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, განისაზღვროს პრიორიტეტები და განხორციელდეს როგორც ინფრასტრუქტურული, ისე კაპიტალური და სარემონტო სამუშაოები, ჩატარდეს აუდიტორიებისა და სასწავლო-ლაბორატორიების ინვენტარიზაცია, შეფასდეს სასწავლო ინვენტარისა და არსებული ტექნიკური აღჭურვილობის დონე და დაისახოს კონკრეტული ამოცანები. მნიშვნელოვანია ლაბორატორიული სასწავლო და კვლევითი გარემოს მოდერნიზაცია. გასათვალისწინებელია ასევე, რომ გასაახლებელია უნივერსიტეტის ავტოპარკიც. აღნიშნულის რეალიზება მოითხოვს რა დიდ ფინანსურ

რესურსს, შესაბამისად, მისი გადაწყვეტა სახელმწიფოსაგან პროგრამული დაფინანსების მოპოვებისა და ინვესტიორების მოძიების გზით გვესახება.

მომსახურების სერვისის გაუმჯობესება უნდა წარიმართოს უნივერსიტეტის მართვის სისტემებში საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და მათი ფართოდ გამოყენების დანერგვით. ინფორმაციული ნაკადის ეფექტიანი მართვის განსახორციელებლად აუცილებელია ერთიან ინფორმაციულ სისტემაში მოექცეს ინფორმაციული ნაკადი და არსებული ელექტრონული მართვის სეგმენტები - პერსონალის მართვა, საფინანსო, სასწავლო, საგამოცდო, სამეცნიერო, საქმის წარმოება და სხვა. გაერთიანდეს და მართვის სისტემების რაციონალიზებისა და რეფორმირების გზით ჩამოყალიბდეს უნივერსიტეტის მართვის მთელი პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა - თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ამისათვის აუცილებელია ჩატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები: შესწავლილ იქნეს და აღიწეროს თსუ სტრუქტურულ ერთეულებში დოკუმენტრუნვასთან დაკავშირებული პროცესები, მათგან გამომდინარე ფუნქციონალური და არაფუნქციონალური მოთხოვნები. კლასიფიცირებულ იქნეს უნივერსიტეტის სივრცეში მოძრავი დოკუმენტის ტიპები, რომელთა მიხედვით შემუშავდეს მათი მოძრაობის მარშრუტი, განისაზღვროს შემსრულებლები და გაიმიჯნოს უფლებამოსილებები.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ელექტრონულად ნაწარმოები დოკუმენტების შენახვისა და არქივირების წესი განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით და, შესაბამისად, უნდა გადაწყდეს ელექტრონული არქივის შექმნისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხი.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა მნიშვნელოვნად განაპირობებს უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალს და მისი განვითარების პერსპექტივებს. ერთიანი საინოვაციო პოლიტიკის გატარება, ინოვაციის სტრატეგიისა და ღონისძიებების შემუშავება, მათი რეალიზება მჭიდროდ უკავშირდება უნივერსიტეტის საინოვაციო პოტენციალის ზრდას, საინოვაციო საქმიანობის მართვის - საინოვაციო მენეჯმენტის სრულყოფას და მიმართული იქნება მეცნიერებისა და კვლევის განვითარების, სამეცნიერო საქმიანობის ხარისხისა და მეცნიერული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური შედეგისა და ინტელექტუალური პოტენციალის პრაქტიკულ გამოყენებაზე. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საინოვაციო საქმიანობის პროგრამები სათანადო ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსით - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიური, ინფორმაციული და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელებით. ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს თანამედროვე საბიბლიოთეკო მომსახურება წარმოადგენს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის

წიგნადი ფონდის გამდიდრება, ავტომატიზირებული სისტემების სრულყოფა და სხვა აქტივობები, რომელიც საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის განვითარებას უკავშირდება ადმინისტრაციული უზრუნველყოფის პრიორიტეტულ ამოცანათა რიგს განეკუთვნება.

სწავლების და კვლევის გაერთიანების მიზნით უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებად სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების რეორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალი და შემდგომი განვითარების პერსპექტივები გააძლიერა. უნივერსიტეტისა და კვლევითი დაწესებულებების ეფექტიანი თანამშრომლობის განმტკიცება, კვლევითი საქმიანობის, პერსონალის პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილად იქცა და საჭიროებს კონკრეტული სამუშაო გეგმის დასახვასა და რეალიზაციის შესაძლებლობების კონსოლიდაციას.

ძალზე მნიშვნელოვანია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიმართ ისეთი აქტივობების მხარდაჭერა, რომლებიც მიმართული იქნება მათი კვალიფიკაციის ამაღლების, კვლევითი პოტენციალის გაზრდის, მიღწეული შედეგების საერთაშორისო სამეცნიერო არენაზე წარმოჩენის, სასწავლო სამეცნიერო პროცესთან დაკავშირებული საავტორო და ნათარგმნი ბეჭდური მასალის, სახელმძღვანელოების გამოცემასთან, სხვადასხვა სტატუსის მქონე პროფესორების, მოწვეული ლექტორების, საუნივერსიტეტო კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომლების შრომის ანაზღაურების არსებული წესის სრულყოფასთან.

ასევე, მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გამოვლენის, განვითარებისა და კომერციალიზაციის პირობებზე ზრუნვა. უნივერსიტეტში ტექნოპარკების, ბიზნეს-ინკუბატორების, ბიზნეს-ფორუმების და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფა.

უმაღლესი განათლება, წარმოადგენს რა ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, შესაბამისად, უმაღლესი განათლების ჭრილში მართვა ხორციელდება არა მარტო ეროვნულ და ინსტიტუციონალურ დონეზე, არამედ საერთაშორისო - გლობალურ კონტექსტშიც. ამდენად, დიდ ყურადღებას საჭიროებს სამეცნიერო კვლევების და სწავლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, კავშირების გაძლიერება უცხოეთის უნივერსიტეტებთან, გაცვლითი პროგრამების, ერთობრივი სასწავლო პროგრამების განხორციელება, უცხოელი პროფესორების მოწვევა და მათი ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სივრცეში, უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და ა.შ.

უნივერსიტეტის განვითარების პროცესში სტუდენტები პასუხისმგებელ მონაწილეებად და სასწავლო პროცესის მართვის ძირითად პარტნიორებად მოიაზრებიან. შესაბამისად, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სასწავლო პროცესის მუდმივი სრულყოფა, რომელიც მიმართულია კვალიფიციური განათლების მისაღებად აუცილებელი გარემოს

გაუმჯობესებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტს უნდა მიეცეს თვითრეალიზაციის საშუალება, გამოხატოს საკუთარი პოზიცია, ხელი შეუწყოს თავისი და სხვა სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სტუდენტთა მომსახურების სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და მაღალი პროფესიული კულტურის შექმნა. სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო პროცესისა და სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, კონსულტაციების, შეხვედრების, დისკუსიების ორგანიზება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტთა კარიერული ზრდისაკენ, სტუდენტური ინიციატივების წახალისების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების პროექტების თანასწორობის პრინციპებზე მხარდაჭერისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ. სტუდენტების ცხოვრების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის აუცილებელია კვების ობიექტების ფუნქციონირების, სამედიცინო მომსახურების სათანადო ორგანიზება. ასევე, დიდი ყურადღება დაეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის საკითხებს. განსაკუთრებულ მხარდაჭერასა და სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტას მოითხოვს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის - კამპუსის მშენებლობისა და არსებულის რეაბილიტაციის საკითხი.

სტუდენტის წინაშე უნივერსიტეტის ვალდებულებაა მისი მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტად ჩამოყალიბება, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. ამ პირობების დასაკმაყოფილებლად სტუდენტს უნდა ჰქონდეს ყველა თანამედროვე სასწავლო და კვლევითი რესურსის წვდომა, საჭირო სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო ცენტრების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, კონკრეტული კვალიფიკაციის შეძენა, დარგობრივი უცხო ენის შესწავლა და სხვა. ის ფინანსური დანახარჯები, რომლებიც ამ რესურსებთან წვდომას უზრუნველყოფს, პრიორიტეტულად უნდა იქნეს აღიარებული, რათა მაქსიმალურად მეტი სტუდენტისათვის გახდეს მისაწვდომი.

2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს იზეიმებს. ის იყო და რჩება ქვეყანაში უმაღლესი განათლების პირველ და მთავარ კერად.

უნივერსიტეტის იმიჯს და რეიტინგს მნიშვნელოვნად განაპირობებს სამეცნიერო მიღწევების დონე და სწავლების ხარისხი. ქვეყნისათვის უნივერსიტეტის მნიშვნელობა, მისი მხრიდან სახელმწიფოსა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით არის განპირობებული. სოციალური გარემოს, შრომის ბაზრის შესწავლა საშუალებას იძლევა მოვახდინოთ საზოგადოების მოთხოვნებისა და მოლოდინის იდენტიფიცირება და ადეკვატური რეაგირება. აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებულია არა მარტო ქვეყნის შიგნით - მისი პოზიცია გაუმჯობესდა მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირების სისტემაში და მას საქართველოსა და კავკასიის რეგიონშიც ლიდერის პოზიცია უკავია. ამდენად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოებას შევთავაზოთ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმათლებლო პროგრამები, სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობის პირობები, განხორციელდეს პროგრამული აკრედიტაციისა და ავტორიზაციისათვის საჭირო აქტივობები. იმიჯის გაზრდა მრავალსპექტიანი ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრა უნივერსიტეტის მთელი კოლექტივის მუშაობის შედეგია.